

მაკა ელზაძიძე
(საქართველო)

ბაჩანა ბრეგვაძე

1991 წლის იანვარი იდგა. ჯერ კიდევ შორეულ ექოდ ისმოდა პოლიტიკური კონფრონტაცია, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ქართული საზოგადოება უკვე გაყოფილიყო სხვადასხვა „ისტად“ და ეს დაპირისპირება, ჯერ მხოლოდ სიტყვიერი, კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც ჩამუქებულ სოციალურ ატმოსფეროს. პოლიტიზირებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, რომლის დერეფნებიც იმხანად სიტყვიერი ანგარიშსწორების ასპარეზად იყო გადაქცეული. სწორედ ასეთ რთულ და წინააღმდეგობრივ დროს დაემთხვა ჩემი კარიერის დასაწყისი ჩემსავე ალმა მატერში, რომელიც დღითიდღე იცვლებოდა პოლიტიკური ვექტორის მერყეობასთან ერთად. ჩემდა საბედნიეროდ, ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ლაბორატორიაში, რომელიც ბატონმა ელგუჯა ხინთიბიძემ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში დააარსა, სრული პოლიტიკური თანხმობა და ერთსულოვნება სუფევდა. ეს იყო ერთგვარი ოაზისი, რომლის კედლებშიც ვერ აღწევდა უნივერსიტეტის დერეფნებში ჩამომდგარი გაუცხოებისა და ურთიერთდაპირისპირების სუსხი. სწორედ ამ პატარა ოთახში იანვრის ცივ და თოვლიან დღეს წარმადგინეს ლაბორატორიის სხდომაზე შეკრებილი ჩემი მომავალი თანამშრომლების წინაშე, რომელთა შორის გამოირჩეოდა საოცრად მშვიდი და თავშეკავებული, ამავდროულად, საოცრად თბილი და სევდიანი მზერის მქონე შუახნის მამაკაცი, ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე. მისი სახელი ჩემს მეხსიერებაში უკავშირდებოდა რამდენიმე წიგნს მამას ბიბლიოთეკიდან – პლატონის „ნადიმსა“ და ბლემ ჰასკალის „აზრებს“, ასევე ჩემი სტუდენტობის წლებში გამოსული წმინდა წერილის თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმანს.

იანვრის იმ სუსხიან, ნაცრისფერ დილას გავხდი ლაბორატორიაში შეკრებილ თანამოაზრეთა გუნდის წევრი, გუნდისა, რომელსაც ადულაბებდა ბატონი ბაჩანას, ბატონი ელგუჯას, ბატონი ჯემალ აჯიშვილისა და სხვათა პროფესიონალიზმი, მეცნიერული კეთილსინდისიერება და კეთილგანწყობა, რომელიც უცილობლად უნდა არსებობდეს მასწავლებელსა და შეგირდს, გამოცდილებით დაბრძენებულ მეტრსა და ახალბედს შორის. ჩემთვის, ისევე როგორც რამდენიმე ჩემი თანატოლისთვის, ლაბორატორიის ყოველი სხდომა თუ წლიური თემების კითხვა, რომელიც გარეშე თვალისთვის შესაძლოა რუტინულად და მოსაწყენად მოჩანდა, იყო ნამდვილი მასტერ-კლასები, სადაც ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხის განხილვის პარალელურად იმართებოდა ცხარე პოლემიკა ფართო ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ ისტორიულ-ფილოლოგიური პრობლემატიკის გარშემო. რამდენიმეწლიანი კოლეგიალური ურთიერთობისა და სამსახურეობრივი მოვალეობებით განპირობებული შეხვედრების შედეგად, ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე არა

მარტო ჩემთვის, არამედ ყველა ახალბედა მეცნიერისათვის, იქცა პროფესიული და პიროვნული ღირსების თვალსაჩინო მაგალითად.

ზოგადად, მთარგმნელის პროფესიონალიზმს სპეციალისტები იმის მიხედვით აფასებენ ხოლმე, თუ რამდენად სრულყოფილად ფლობს ის იმ ენას, რომლიდანაც თარგმნის და რამდენად ზუსტად არის დაცული თარგმანში დედნის აზრობრივი, მსოფლმხედველობრივი თუ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპები. ამ თვალსაზრისით უნიკალურია ბატონი ბაჩანას მთარგმნელობითი მოღვაწეობა, ვინაიდან ის უზადოდ თარგმნიდა არა ერთი, არამედ რამდენიმე ენიდან, იქნებოდა ეს კლასიკური – ბერძნული და ლათინური, თუ ევროპული ენები. ფართო იყო სათარგმნად შერჩეულ ავტორთა სპექტრიც – პლატონი, არისტოტელე, ევრიპიდე, ჰერაკლიტე ეფესელი, პლოტინი, ფსევდო ლონგინე, მარკუს ავრელიუსი, ნეტარი ავგუსტინე, დანტე ალიგიერი, ნიკოლო მაკიაველი, ლუიჯი პირანდello, ჯაკომო ლეოპარდი, ბლეზ პასკალი, პოლ ვალერი, ანატოლ ფრანსი, ანტუან სენტ ეგზიუპერი, ფრედერიკო გარსია ლორკა, ანტონიო მაჩადო, გუსტავო ხიმენესი, გაბრიელა მისტრალი, სერვანტესი, ჰენრიკ იბსენი და ბევრი სხვა...

წილად მხვდა ბედნიერება მომსწრე ვყოფილიყავი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბატონი ბაჩანას საოცარი შემოქმედებითი აქტივობისა, რაც სრულიად მოულოდნელი იყო გარეთ გამეფებული ქაოსის – ტყვიების ზუზუნის, უშუქობის, სიცივის, შიმშილის ფონზე. ლაბორატორიაში მუშაობის წლებში ითარგმნა პლატონის „ტიმოსი“ (დღემდე მახსოვს ბატონი ბაჩანას რეპლიკა: „ჩქარა მივიდე სახლში, ოთახში ჩემი პლატონი მელოდება“), სერვანტესის „დონ კიხოტი“, ჰენრიკ იბსენის დრამები ორ ტომად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლები ვიყავით ამ შემოქმედებითი პროცესის მონაწილე და, გარკვეულწილად, მონაწილენიც, რადგან სწორედ ჩვენს ტრადიციულ „ხუთშაბათობებზე“ (სხდომები, ძირითადად, ხუთშაბათობით ტარდებოდა ხოლმე) ბატონი ბაჩანა საოცარი გატაცებით გვიკითხავდა ფრაგმენტებს თავისი ახალი თარგმანებიდან.

ბატონი ბაჩანას შემოქმედებითი მოღვაწეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე იყო სამეცნიერო თარგმანი (ანრი ბერგსონის „ცნობიერების უშუალო მონაცემები“, შ. დელის „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“, ა. შოპენჰაუერის „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“, ხოსე ორტეგა-ი-გასეტის „მასების ამბოხი“, „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ და სხვა), აღჭურვილი მთარგმნელის ღრმა ერუდიციითა და პროფესიონალიზმით შესრულებული კომენტარებით (მაგალითად, იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შექმნოდა ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნის ჰერაკლიტე ეფესელის ფილოსოფიური დოქტრინის შესახებ, ბატონმა ბაჩანამ თარგმანს წარუმიძღვარა გერმანელი სწავლულის, არნიმის მოკლე ნარკვევი „ჰერაკლიტე“, ხოლო ტექსტს საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტები დაურთო).

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... გაუქმდა ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ლაბორატორია... „ახალმა დროებამ“ გაჰყარა ერთ დროს ასე შედუღებულ თანამოაზრეთა ჯგუფის გზებიც. ახალი მოვალეობებითა და ვალდებულებებით დახუნძლული, მხოლოდ შემთხვევით თუ გა-

დავანყდებოდი ხოლმე ქუჩაში დინჯად მომავალ ბატონ ბაჩანას – ძველებურად აულელვებელს, თბილსალმიანსა და კეთილგანწყობილს. მას არ აკლდა რეგალიები, არც პრემიები და ჯილდოები (ივანე ჯავახიშვილის, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიები; ლიტერატურული პრემია «საბა»), მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ისევე როგორც ყველა ჩვენგანს, ჰქონდა უამრავი პრობლემა, რომელთაც არავის ახვევდა თავზე. განსაცვიფრებლად თავმდაბალსა და მოკრძალებულს არასოდეს მოუწონებია თავი საკუთარი ნიჭითა თუ ერუდიციით. არც ტელეეკრანზე გამოჩენა ხიბლავდა – მყვირალა პოპულარობას ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. ბოლოს უნივერსიტეტში ვნახე – კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) მიერ დანესებული პრემიების გადაცემის ცერემონიაზე, როდესაც იგი გივი გაჩეჩილაძის სახელობის სპეციალური პრემიით დააჯილდოვეს სამეცნიერო თარგმანის დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ეს ჯილდოც, როგორც სხვა დანარჩენები, მან ჩვეული თავმდაბლობით მიიღო, წარდგინებისას მოკრძალებული ღიმილი არ მოშორებია სახიდან – თითქოს ეუხერხულებოდა თავისი მისამართით გამოთქმული საქებარი სიტყვების მოსმენა.

მისი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუ წავიკითხე და გული ჩამწყდა – ყოველი სტრიქონიდან გამოსჭვიოდა გულგატეხილობა ცხოვრებისეული სირთულეებით, რომლებიც მის თაობას განსაკუთრებით სიჭარმაგის ჟამს ხვდა წილად („რთული ცხოვრებაა ძალიან, რთული და ალბათ, აქედან თავის დაღწევა ადვილი არ იქნება...“), ადამიანთა გაუტანლობით და უსულგულობით („ხანდახან რომ ვფიქრობ, განათლებული ადამიანის მეშინია... რა არის ეს? ეს არის მგლების ხროვა! ბრძოლა ადგილისათვის, ბრძოლა ამისთვის, იმისთვის!..“), უმადურობით და დაუფასებლობით („ბედნიერი ვიქნებოდი ნორმალურ სახელმწიფოში, სადაც პენსიონერს ნორმალურ პენსიას უხდიან. ჩემთვის დავჯდებოდი და ათჯერ მეტ წიგნს დავწერდი, გამოვცემდი. არ ვიცი...“). თუმცა ყველაზე მეტად ჩვენში გამეფებული შური, ბოლმა და ზიზლი სზარავდა („ეს შური, ბოლმა, ზიზლი შემზარავია პირდაპირ. რა არის ეს კაცო!!!“). ეს ყველაფერი ხომ რადიკალურად განსხვავდებოდა იმ სამყაროსგან, რომელშიც სიცოცხლის ბოლომდე ჩაძირულიყო და რომლის სიმშვენიერესა და სინატიფეს მშობლიურ ენაზე ამეტყველებდა ბატონი ბაჩანა...